



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოების ინოვაციური აქტივობა

2016

წელი



30.11.2017

www.geostat.ge

30.11.2017

საწარმოების ინოვაციური აქტივობა გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2016 წელი)

საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა ბიზნეს სექტორში ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შესწავლა.

აღნიშნული გამოკვლევა განხორციელდა საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესაბამისად და მოიცავს ქვეყნის კონტროლირებადი ტერიტორია.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქვემოთ ჩამოთვლილ დარგებში (ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორს (NACE Rev.2) შესაბამისად) მოქმედი საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატებოდა 9 კაცს:


- სამთომომპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება
- მრეწველობა
- მშენებლობა
- წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები
- საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
- ტრანსპორტი და დასაწყობება
- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
- ინფორმაცია და კომუნიკაცია
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები
- უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
- ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2016 წლის განმავლობაში, საწარმოთა 13,1%-მა ბაზარზე შემოიტანა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი, ხოლო იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში დანერგეს ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება, განისაზღვრა 13,9%-ით. საქონლისა და მომსახურების ინოვაციები უმეტეს შემთხვევაში საწარმოების მიერ დამოუკიდებლად იყო შემუშავებული (შესაბამისად 59,1% და 56,4%). სხვა შემთხვევებში ამ

კუთხით მათ მხარდაჭერა მიიღეს სხვა საწარმოებისგან ან დაწესებულებებისაგან. განხორციელებული ინოვაციების 48.2% ახალი იყო საწარმოებისთვის, ხოლო 51.8% - სიახლეს წარმოადგენდა ბაზრისთვის.

საწარმოთა ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში შედარებით მაღალი წილითა გამოხატული ისეთ სფეროში, როგორცაა მანქანა - დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა - 21,5%. საკმაოდ მაღალი წილი ჰქონდა აგრეთვე დიზაინს (15,6%), ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებულ სწავლებას (13,8%) და საკუთარ კვლევებსა და დამუშავებებს (13,1%):

საწარმოს ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში (%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2016 წლის განმავლობაში საწარმოთა 29,5%-მა შეიმუშავა საქონლის/მომსახურების ფასდადების ახალი სისტემა, 27,1%-მა განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები პროდუქციის ესთეტიკურ დიზაინსა და შეფუთვაში, 23,8%-მა უზრუნველყო ახალი მედიის ან ტექნიკის შემოტანა პროდუქციის პოპულარიზაციისთვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge